პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 24 მარტი, 1943 წ. № 69 (6694). ფასი 20 კაპ.

სანიმუშოდ ჩავაგაროთ საგაზაფხულო თესვა დამხმარე მეურნეობებში

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ვითარებაში უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ფაბრიკა-ქარხნებთან და დაწესებულებებთან არსებული დამხმარე მეურნეობების ორგანიზებულ, სანიმუშო, მაღალნაყოფიერ მუშაობას. დამხმარე მეურნეობები განსაკუთრებით ფართოდ განვითარდნენ სამამულო ომის დღეებში. დიდია მათი როლი მუშა-მოსამსახურეთა კვების გაუმჯობესების საქმეში. დამხმარე მეურნეობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღგილობრივი დამზადებით მნიშვნელოვანი რაოდენობით ათავისუფლებენ სახელმწიფო ფონდებს, ეხმარებიან ფრონტს სურსათით მომარაგებაში. ეს კი წითელი არმიისადმი დახმარებაა მის გმირულ ბრძოლაში ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ.

მრავალმხრივ სახალხო ინიციატივას, რასაც საბჭოთა კავშირის მშრომელები—მუშები, გლეხები, ინტელიგენცია იჩენენ ვერაგი მტრის წინააღმდეგ უმაგალითო ბრძოლის დღეებში, დაემატა დამხმარე მეურნეობათა მუშაკების ძვირფასი ინიციატივა—საკუთარი პროდუქტებით შესცვალონ ცენტრალიზებული მომარაგების ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს პატრიოტული თაოსნობა წამოიწყეს სამღინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის მუშაკებმა, რომლებმაც სახალხო მეურნეობის სხვა დარგების კოლექტივებს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გააჩაღონ მუშაობა **საკუთარი სახურსათო ბაზის შესაქმნელად.** ამ ძვირფას ინიციატივას მხურვალედ უნდა გამეხმაურონ საქართველოს საწარმოებთან და დაწესებულებებთან არსებულ დამხმარე მეურნეობათა მუშაკები.

დამხმარე მეურნეობები ახლა უაღრესად სერიოზული ამოცანის წინაშე დგანან: მათ სანიმუშოდ უნდა ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, გაადიდონ სათესი ფართობები, უზრუნველჰყონ ყველა პირობა უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ—დამხმარე მეურნეობათა მუშაკებმა განუხრელად უნდა განახორციელონ. იქ, სადაც საწარმო-დაწესებულებათა დირექტორები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დამხმარე მეურნეობათა დირექტორები და აგრონომები პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, ბოლშევიკურად ზრუნავენ მინდობილი უბნისათვის, სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. თბილისის საწარმო-დაწესებულებებთან 100-ზე მეტი დამხმარე მეურნეობა არსებობს, რომლებმაც წელს სულ 1.140 ჰექტარი უნდა დასთესონ, აქედან 416 ჰექტარზე მარცვლეული კულტურები, 152 ჰექტარზე კარტოფილი, დანარჩენ ფართობზე კი ბოსტნეული. როგორი მდგომარეობაა ამ დამხმარე მეურნეობებში საგაზაფხულო თესვის მხრივ?

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დამხმარე მეურნეობის (დირექტორი ამხ. აპ. კაშია) მუშაკებმა დროულად მიიღეს ზომები საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის. იქ გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარი ფართობი უკვე მოხნულია, კვალსათბურები წესრიგშია, დათესილია კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი, მიზიდულია 100 ტონა ნაკელი. მეურნეობა უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი თესლით. ასევე კარგ მდგომარეობაშია თბილისის ლოკომოტივმშენებელ ქარხნის, ზეთსახდელი ქარხნის, საზკვების თბილისის ტრესტის დიდების დამხმარე მეურნეობები და სხვ. ამ მეურნეობებში ნერგავენ მოწინავე აგროტექნიკას, იბრძვიან უხვი მოსავლისათვის და კარგ შედეგსაც აღწევენ.

მაგრამ არის ისეთი დამხმარე მეურნეობები, სადაც უპასუხისმგებლო და უზრუნველი მუშაობის შედეგად საგაზაფხულო თესვის საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. თბილისის საორთქლმავლო დეპოს დამხმარე მეურნეობის დირექტორ გვაზავას საათანადო ზომები არ მიუღია იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვას მომზადებული შეხვედროდა. იქ დროზე არ შეუკეთებიათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მუშა საქონელი არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე, არ მოუმარაგებიათ თესლი. ამ მეურნეობამ სულ 6 ჰექტარი უნდა მოხნას, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეუდგომიან ნიადაგის დამუშავებას. ნ ქარხნის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, თამბაქოს ქარხნისა და კუბიშევის სახელობის ქარხნის დამხმარე მეურნეობებში ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ მოემარაგებინათ წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი — თოხები, ბარები და სხვა იარაღები. ნუთუ ეს რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული? სრულებითაც არა. ეს მხოლოდ უყურადღებისა **და** უზრუნველობის შედეგია.

დამხმარე მეურნეობათა მუშაობაზე ყოველდღე უნდა ზრუნავდნენ მუშათა მომარაგების განყოფილებები, რომლებსაც აბარიათ უმნიშვნელოვანესი უბანი — მუშათა მომარაგების საქმე.

ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი ფიქრობს, რაკი დამხმარე მეურნეობას დირექტორი ჰყავს, რაკი მუშათა მომარაგების განყოფილება არსებობს, მათ აგონ პასუხი, მე ჩემი გეგმებიც მეყოფაო. „პრავდა“ ასეთი დირექტორების შესახებ სწერს: „ზედმეტი არ იქნება მოვაგონოთ, რომ გაზაფხულისათვის წარმატებით მომზადებაში პასუხს აგებენ არა მარტო მუშათა მომარაგების განყოფილებათა და დამხმარე მეურნეობათა ხელმძღვანელები, არამედ საწარმოთა ხელმძღვანელებიც, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციებიც. ბევრი რამეა დამოკიდებული მათს ინიციატივასა და განმკარგულებლობაზე, და იმაზე, რომ მათ მუდამ იცოდნენ, თუ რა მდგომარეობაშია თესვისათვის მზადება“.

ასე დგას ახლა საკითხი.

ადგილობრივი ორგანიზაციები, პირველ რიგში პროფკავშირი, ვალდებული არიან დამხმარე მეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად ხელმძღვანელობდნენ და მზრუნველობდნენ კოლექტიური და ინდივიდუალური ბოსტნების გაფართოებას, მათი ზრდისა და მაღალი ნაყოფიერების მიღწევის საქმეს. კოლექტიურ და ინდივიდუალურ ბოსტნებს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც სასურსათო პროდუქტების დამატებითს წყაროს. ეს გვავალებს ხელი შეეწყოთ მუშა-მოსამსახურეებს რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაებან ამ საქმეში.

დამხმარე მეურნეობებში დაიწყო საგაზაფხულო თესვა. სანიმუშოდ ჩავატაროთ იგი! აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და მივაღწიოთ იმას, რომ ყველა დამხმარე მეურნეობამ მიიღოს უხვი სამხედრო მოსავალი. ეს ხელს შეუწყობს მშრომელთა კვების გაუმჯობესებას, დაეხმარება ფრონტს, გმირ წითელ არმიას, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით სპობს ჰიტლერელ ავაზაკებს და ათავისუფლებს სოციალისტური სამშობლოს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს საზიზღარი გერმანელი ოკუპანტებისაგან.

ჰიტლერული საარღლობის კიდევ ერთი ნაყალბევი

ჰიტლერელი ყალბისმქმნელები ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ ყოველგვარი ყალბი „სამხედრო ცნობების“ ფაბრიკაციაში. ისინი კალმის ერთი მოსმით სპობენ ქალაქებს ათობით საბჭოთა ქვეითს, მოტორიზებულ და სატანკო შენაერთებს.

ასე, მაგალითად, გერმანიის საინფორმაციო ბიურომ 20 მარტს გამოაქვეყნა თვალსაჩვენი ცნობა, რომელშიც ამტკიცებენ, რომ 13 თებერვლიდან გასულ პერიოდში სევერნი დონეცსა და დნეპრს შორის მდებარე რაიონში შენაერთებს ებრძოლა 9 საბჭოთა მსროლელი დივიზია, 6 მსროლელი ბრიგადა, 4 საკავალერიო დივიზია, 9 მოტორიზებული ბრიგადა, 25 სატანკო ბრიგადა, 2 სატანკო პოლკი და ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნების ბრიგადა. მაგრამ გერმანელ მატყუარებს ესეც მცირედ მოეჩვენათ. ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ, გარდა ამისა, დიდი ზარალი მოუვიდა 19 მსროლელ დივიზიას, 18 მოტორიზებულ და სატანკო ბრიგადას, აგრეთვე წითელი არმიის სხვა შენაერთებსა და ნაწილებსო.

იმისათვის, რომ ეს თავიდან ბოლომდე ყალბი ცნობა სინამდვილეს მიამსგავსონ, გერმანელი ცრუპენტელები ჩამოსთვლიან ვითომდა მოსპობილი საბჭოთა დივიზიებისა და ბრიგადების ნომრებს, რომლებიც კი მათ პირველად მოუფიათ თავზე.

ჰიტლერელებმა საბოლოოდ შესტოპეს სიცრუეში და მთლად გადაამლაშეს. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა შენაერთების ისეთი რაოდენობა, რომელიც დასახელებულია გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობაში, სევერნი დონეცსა და დნეპრის შორის მდებარე რაიონში არასოდეს არა ყოფილა. ზოგიერთი, ჰიტლერელების მიერ მოსპობილთა შემადგენლობაში ჩარიცხული, საბჭოთა დივიზია და ბრიგადა საერთოდ არ არიცხებოდა წითელი არმიის შემადგენლობაში, ბევრი მათგანი კი მონაწილეობას არ იღებდა სამხრეთში წარმოებულ ბრძოლებში, და ამიტომ მოსპობილი ვერ იქნებოდა და ზარალს ვერ ნახავდა.

გერმანელთა სარდლობამ თებერვლის დამლევს დაიწყო კონტრშემოტევა სევერნი დონეცსა და დნეპრს შორის მდებარე რაიონში, ცდილობდა რა გარსშემორტყმოდა საბჭოთა ჯარებს და მოეწყო მათთვის „გერმანული სტალინგრადი“. ამ მიზნით გერმანელებმა ბრძოლების რაიონებში სასწრაფოდ გადმოიყვანეს დასავლეთ ევროპიდან ახალი ქვეითი და სატანკო დივიზიების დიდი რაოდენობა, აგრეთვე გადმოიყვანეს გერმანიიდან 110-115 სამარშო ბატალიონი თავიანთი შებერტყილი შენაერთების შესავსებად.

საერთოდ ახლა გერმანელები ოცნებობენ რევანშს მიაღწიონ იმ დამარცხებისათვის, რაც სტალინგრადთან განიცადეს, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ და მათი გაწბრახვა საგებით ჩაიშალა. ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც გაფფთრებულ შემაკავებელ ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან და მძიმე ზარალს აყენებდნენ მას, სარდლობის ბრძანებით თავდაცვის ახალ ხაზებზე გადმოინაცვლეს და ამით გერმანელთა განზრახვა ჩაფუშეს.

ამ ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა 36.722 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს სულ ცოტა 52.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ასეთია იმ ბრძოლების ფაქტიური შედეგები, რომლებიც სევერნი დონეცსა და დნეპრს შუა სწარმოებდა.

განა ცხადი არ არის, რომ ჰიტლერელთა ცნობა საბჭოთა ჯარების ზარალის შესახებ თეთრი ძაფით არის ნაკერი და შეთითხნილია იმისათვის, რომ ანუგეშონ და მოატყუონ გერმანიის მოსახლეობა, რომელიც აქამდე ჯერ ვერ მოსულა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების დამარცხების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

ქრონიკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. **ა. ე. კორნეიჩუკი** დანიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. **ს. პ. კოზირევი** დანიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალურ მდივნად და კოლეგიის წევრად.

მეცნიერების დარგის 1942 წლის ღირსშესანიშნავ ნაშრომთათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მეცნიერების დარგის 1942 წლის ღირსშესანიშნავ ნაშრომთათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრის და 1942 წლის 18 ნოემბრის დადგენილებათა შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიეკუთვნოს სტალინური პრემიები ღირსშესანიშნავ მეცნიერულ ნაშრომთათვის:

ა) ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. პაველ სერგის-ძე **ალექსანდროვს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მეცნიერული ნაშრომებისათვის მათემატიკის დარგში: „ზოგადი კომბინატორული ტოპოლოგია“ და „კომპლექსთა განლაგებისა და შეკრულ სიმრავლეთა ჰომოლოგიურ თვისებათა შესახებ“, რომლებიც გამოქვეყნდა 1941 და 1942 წლებში.

2. პეტრე ლეონიდეს-ძე **კაპიცას,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკურ პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორს, თხევადი ჰელიუმის ზედინადობის მოვლენის აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის, რომელთა შედეგებიც გამოქვეყნდა 1941 წლის დამლევს შემდეგ ნაშრომებში: „პ ჰელიუმის სითბოს გადატანა და ზედინადობა“ და „პ ჰელიუმში თბოგამტარობის მექანიზმის გამოკვლევა“.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. სერგი ივანეს-ძე **ვავილოვს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლებედევის სახელობის ფიზიკური ინსტიტუტის დირექტორს, შეიარაღების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის მეცნიერ ხელმძღვანელს, მეცნიერული ნაშრომებისათვის ფიზიკურ ოპტიკაში: „სსნართა ფლუორესცენციის კონცენტრაციული ქრობის თეორია“, „სსნარებში ფლუორესცენციის კონცენტრაციული დეპოლარიზაციის თეორია“ და „კვანტური ფლუქტუაციების ვიზუალური გაზომვა“, რომლებიც გამოქვეყნდა 1942 წელს.

2. სერგი ვლადიმერის-ძე **ორლოვს,** მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ნაშრომებისათვის ასტრონომიის დარგში: „კომეტები“, „კომეტების წარმოშობა“, რომლებიც გამოქვეყნდა 1941 წელს, და „კომეტის თავი და კომეტური ფორმების ახალი კლასიფიკაცია“, რაც დამთავრდა 1942 წელს.

ბ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. ლეონიდე სამუელის-ძე **ლეიბენზონს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, გუბკინის სახელობის მოსკოვის ნავთის ინსტიტუტის პროფესორს, გამოკვლევათათვის დრეკადობის თეორიისა და ნავთის მრეწველობის მექანიკის დარგში: „დრეკადობის თეორიის კურსი“ და „ფოროვან არეში გაზირებული ნავთობის მოძრაობა“, რაც გამოქვეყნდა 1942 წელს.

2. მიხეილ ალექსანდრეს-ძე **პაველოს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, თუჯის მეტალურგიის დარგში ფართოდ ცნობილი მეცნიერული ნაშრომებისათვის.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ვადიმ ვასილის-ძე **სოკოლოვსკის,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტის პროფესორს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „დენადი არეს სტატიკა“, რაც გამოქვეყნდა 1942 წელს.

2. ვიქტორ პეტრეს-ძე **ტერსკიხს,** გემთმშენები მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 45 ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „ძალოვან დანადგართა ყიფმატოვანი რხევანი“ წიგნი I, რაც გამოქვეყნდა 1940 წელს, და წიგნი II, რაც დამთავრდა 1942 წელს.

3. სერგი ნიკოლოზის-ძე **შიშკინს,** პროფესორს, ნ. ვ. ჟუკოვსკის სახელობის ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის უფროსს, ალექსანდრე ივანეს-ძე **მაკარევსკის,** ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე **მატვეევს,** დიმიტრი ვასილის-ძე **ხალეზოვს,** იმავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, ვლადიმერ ისაკის-ძე **პოლიკოვსკის,** პროფესორს, პ ი. ბარანოვის სახელობის საავიაციო მოტორმშენებლობის ცენტრალური ინსტიტუტის უფროსს, ალექსანდრე ვასილის-ძე **ჩესალოვს,** პროფესორს, საფრენსნო-საკვლევო ინსტიტუტის უფროსის მოადგილეს, ბორის ნიკოლოზის-ძე **იურიევს,** საინჟინრო-საავიაციო სამსახურის გენერალ-მაიორს, პროფესორს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „სახელმძღვანელო კონსტრუქტორებისათვის“, რაც გამოქვეყნდა 1940, 1941 და 1942 წლებში.

გ) ქიმიურ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემია 200.000 მანეთის რაოდენობით

1. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **ნესმეიანოვს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორს, ლითონორგანული შენაერთების დარგში გამოკვლევებისათვის, რომელთა შედეგებიც გამოქვეყნდა 1941 და 1942 წლს სტატიების სერიაში: „დიაზოძრის ეთერის ურთიერთქმედება ქლორკალასა და ქლორორკინასთან“, „ვერცხლისწყლის ორგანული ნაერთების დარგიდან“, „ნიტრო-ზონაერთების რეაქციაზე ზოტის ეანგთან“ და მონოგრაფიაში „სინთეზური მეთოდები ვერცხლისწყლის ლითონორგანული ნაერთების დარგში“, რაც დამთავრებულ იქნა 1942 წელს.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. იაკობ ბორისის-ძე **ზელდოვიჩს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, გამოკვლევებისათვის გაზების წვისა და დეტონაციის თეორიაში: „ნელი ალის გავრცელების ზღვარის თეორია“, „გაზებში დეტონაციის სიჩქარის გაანგარიშება“, „თბოდაძაბულობის თეორიისათვის“ და „დეტონაციური აფეთქების პროდუქტებში წნევისა და სიჩქარის განაწილება, კერძოდ, დეტონაციური ტალღის სფერული გავრცელებისას“, რომლებიც გამოქვეყნდა 1941 და 1942 წელს.

2. ისააკ რუვიმის-ძე **კრიჩევსკის,** ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორს, აზოტის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, პეტრე ელისეს-ძე **ბოლშაკოვს,** დანიელ სიმონის-ძე **ციკლისს,** იმავე ინსტიტუტის თანამშრომლებს მეცნიერული ნაშრომებისათვის: „მაღალი წნევისას ჰეტეროგენური წონასწორობანი ამიაკ-აზოტის სისტემაში“, რაც გამოქვეყნდა 1941 წელს, და „მაღალი წნევებისას გაზების შეზღუდული ურთიერთხსნადობა“, რაც დამთავრებულ იქნა 1942 წელს.

3. იაკობ კოგის-ძე **სირკინს,** ლ. ი. კარპოვის სახელობის ფიზიკა-ქიმიის ინსტიტუტის პროფესორს, ნაშრომებისათვის: „ბორწყალბადების აღნაგობა“, „ნაფტალინის მოლეკულის აღნაგობა“, „პოლარული სითხეების დიელექტრული კონსტანტები და დიპოლური მომენტები“, რომლებიც გამოქვეყნდა 1941 და 1942 წლს და „მოლეკულთა ქიმიური ბმულობა და აღნაგობა“, რომელიც დამთავრებულ იქნა 1942 წელს.

დ) გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. ფეოდოსი ნიკოლოზის-ძე **კრასოვსკის,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „უმაღლესი გეოდეზიის სახელმძღვანელო“, რომელიც გამოქვეყნდა 1942 წელს.

2. პავლე ივანეს-ძე **სტეპანოვს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, დონბასის გეოლოგიური გამოკვლევებისათვის, რაც განზოგადებულია ნაშრომში „სსრ კავშირის გეოლოგია“, ტ. „უპრ“ დონეცის ბასეინი.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. დიმიტრი მიხეილის-ძე **ბოგდანოვიჩს** და გრიგოლ სტეფანეს-ძე **ჩიკრიზოვს,** უზბეკეთის გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგებს, ანგრენის მურანაზშირის საბადოს აღმოჩენისა და გამოკვლევისათვის.

2. კონსტანტინე ვლადიმერის-ძე **რადუგინს,** ს. მ. კიროვის სახელობის ტომსკის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს, დასავლეთ ციმბირის გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგს, ტასის მარგანეცის მადნების საბადოს აღმოჩენისა და შესწავლისათვის.

ე) ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. პეტრე მიხეილის-ძე **ჟუკოვსკის,** ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერული ნაშრომისათვის „ბოტანიკა“, რომელიც გამოქვეყნდა 1941 წელს, და ხორბლისა და ჭვავის ახალ სახეთა აღმოჩენისათვის და მათგან სამეურნეო მხრივ ძვირფასი ჰიბრიდების მიღებისათვის.

2. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ენგელგარდტს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის პროფესორს, მილიცა ნიკოლოზის-ასულ **ლიუბიმოვას,** იმავე ინსტიტუტის თანამშრომელს, კუნთთა მოქმედების დარგში გამოკვლევებისათვის, რის შედეგებიც გამოქვეყნებულია 1942 წელს ნაშრომში: „მიოზინის საფერმენტაციო თვისებები და კუნთთა მექანოქიმია“.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. დიმიტრი ნიკოლოზის-ძე **ნასონოვს,** ა. მ. გორკის სახელობის სრულიად-საკავშირო ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტის პროფესორს, და ვლადიმერ იაკობის-ძე **ალექსანდროვს,** იმავე ინსტიტუტის თანამშრომელს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „ცოცხალი ნივთიერების რეაქცია გარეგან ზემოქმედებაზე“, რაც გამოქვეყნებულია 1941 წელს.

2. ნიკოლოზ ვასილის-ძე **ციცინს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდით მთელი რიგი ძვირფასი, უხვმოსავლიანი ერთწლიანი საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლეულ-ჭანგეულის ჰიბრიდების მიღებისათვის.

ვ) სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. ტროფიმე დენისის-ძე **ლისენკოს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ვასილ პეტრეს-ძე **მოსოლოვს,** ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ივანე დანიელის-ძე **კოლესნიკს,** ალექსი კლემენტის-ძე **ზუბარიოვს,** იმავე აკადემიის მეცნიერ თანამშრომლებს, თევდორე სერგის-ძე **სოლოდოვნიკოვს,** იმავე აკადემიის ყაზახეთის ფილიალის თანამშრომელს, ალექსი თევდორეს-ძე **გოლიკოვს,** ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მასწავლებელს, ვასილ ვასილის-ძე **არნაუტოვს,** კარტოფილის მეურნეობის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის დირექტორს, ივანე ევდოკიმეს-ძე **გლუშენკოს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელს, სასურსათო ტუბერების წვეროებით კარტოფილის დარგვის ხერხის მეცნიერული შემუშავებისათვის და სოფლის მეურნეობაში დანერგვისათვის.

მეორე ხარისხის პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ანატოლი ივანეს-ძე **ავტონომოვს,** მებამბეობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, ეგვიპტური ბამბის უხვმოსავლიანი და სწრაფმოსავლიანი ჯიშების მიღებისათვის.

ზ) სამედიცინო მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. ვიქტორ ნიკოლოზის-ძე **შევკუშენკოს,** სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტს, წითელი არმიის ს. მ. კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორს, ალექსი ნიკოლოზის-ძე **მაქსიმენკოს,** ანდრია სტეფანეს-ძე **ვიშნევსკის,** იმავე აკადემიის პროფესორებს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „ნერვოზულ და ვენურ სისტემათა ატლასი“, რომელიც დამთავრებულ იქნა 1942 წელს.

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის ჯამდენობით

1. ანდრია გრიგოლის-ძე **სავინიხს,** ტომსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს, შუასაყარის ორგანოების ქირურგიული მკურნალობის დარგში მუშაობისათვის, რაც დამთავრებულია მეცნიერული ნაშრომით: „მუცლის აპკის მედიასტინოტომია და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა“, რაც დამთავრებულ იქნა 1942 წელს.

2. ალექსი დიმიტრის-ძე **სპერანსკის,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სამედიცინო ხელოვნების გენერალ-მაიორს, მტკივნეულ პროცესებში ნერვული სისტემის როლის შესახებ თეორიის დამუშავებისათვის.

3. ლინა სოლომონის-ასულ **შტერნს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ნაშრომებისათვის გემატოენცეფალური ბარიერის შესახებ.

თ) სამხედრო მეცნიერებათა დარგში

მეორე ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის რაოდენობით

1. ლეონიდე გიორგის-ძე **გონნიაროვს,** ვოენ-აკადემიის პროფესორს, საარტილერიო იარაღის დაპროექტების მეთოდთა შემუშავებისათვის და გამოკვლევებისათვის შიდა ბალისტიკის დარგში, რომლებიც დამთავრდა მეცნიერული ნაშრომით: „მილოვანი ფორმის უკვამლო დენთისათვის შიდა ბალისტიკის ამოცანათა ამოხსნა“, რაც გამოქვეყნებულ იქნა 1941 წლის დამლევს.

ი) ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. ისაკ ისრაელის-ძე **მინცს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გიორგი თევდორეს-ძე **ალექსანდროვს,** პროფესორს, პეტრე ნიკოლოზის-ძე **პოსპელოვს,** პროფესორს, ემელიანე მიხეილის-ძე **იაროსლავსკის,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ესთერ ბორისის-ასულ **გენკინას,** მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ექვთიმე ნიუმის-ძე **გოროდეცკის,** იმავე უნივერსიტეტის დოცენტს, ისრაელ მენდელის-ძე **რაზგონს,** ივანე პავლეს-ძე **ტოვსტუხას,** იმავე უნივერსიტეტის პროფესორებს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორია“, ტ. II, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1942 წელს.

2. ევგენი ვოლტორის-ძე **ტარლეს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერული ნაშრომისათვის: „ყირიმის ომი“, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1942 წელს.

კ) ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. გიორგი თევდორეს-ძე **ალექსანდროვს,** პროფესორს, ბერნარდ ემანუილის-ძე **ბიხოვსკის,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის პროფესორებს, მარკოზ ბორისის-ძე **მიტინს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, პავლე თევდორეს-ძე **იუდინს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორს, ორესტ ვლადიმერის-ძე **ტრახტენბერგს,** ვალენტინ ფერდინანდის-ძე **ახმუსს,** მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, მიხეილ ალექსანდრეს-ძე **დინიკს,** მოსეს მანუკის-ძე **გრიგორიანს,** მეცნიერული ნაშრომისათვის: „ფილოსოფიის ისტორია“, სამ ტომად, რომელიც გამოქვეყნებულია: ტომი I—1940 წელს, ტომი II—1941 წელს, ტომი III—1942 წელს.

ლ) მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მრავალი წლის ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის

პირველი ხარისხის პრემიები 200.000 მანეთის რაოდენობით

1. მიხეილ იოსების-ძე **ავერბახს,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 მარტის დილის ცნობა

22 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

დასავლეთის ფრონტზე 5 შენაერთის ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს სამი ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი, გერმანელები შეეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები და კონტრიერიშზე გადმოვიდნენ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გაულიტეს მტრის ერთი ასეული მეავტომატე და ხელთ იგდეს 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი, 120 ავტომატი და შაშხანა.

• • •

ქალ. ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიშები და უკუქცეულ ჰიტლერელთა კვალდაკვალ შეიჭრნენ დასახლებულ პუნქტში. ხელჩართულ ბრძოლის შედეგად გერმანელები განდევნილ იქნენ ამ პუნქტიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი. მოწინააღმდეგეს წავართვეს 2 სანაღმტყორცნო ბატარია, 11 ტყვიამფრქვევი, 1 საწყობი საომარი მასალა და 1 რადიოსადგური.

• • •

ბელგოროდის რაიონში 5 შენაერთის ნაწილებმა გაფთრებულ ბრძოლაში მოსპეს მოწინააღმდეგის 6 ტანკი და 25 ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 15 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად და ჩაახშეს ორი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

• • •

ჩუგუევის რაიონში ჩვენი ნაწილები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგისთან. საბჭოთა არტილერისტებმა დაეხიანეს გერმანელთა 1 მძიმე ტანკი, 2 ქვემეხი და გაჩფენეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ფიდი კოლონა. სხვა უბანზე ჰიტლერელები იერიშზე გადმოვიდნენ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ.

• • •

ყუბანში ჩვენმა მფრინავებმა დღის განმავლობაში გერმანელთა 15 თვითმფრინავი ჩამოაგდეს საჰაერო ბრძოლებში. გარდა ამისა, საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

• • •

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ღამით თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს. პარტიზანებმა ცეცხლი წუკიდეს ორ სახლს, სადაც ჰიტლერელები იმყოფებოდნენ, და გაულიტეს 40 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ლენინგრადელი პარტიზანების სხვა რაზმმა ლიანდაგიდან გადაგდო მოწინააღმდეგის ორი ეშელონი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. დაბეჯითებულია 2 ორთქლმავალი, 49 ვაგონი და პლატფორმა ცოცხალ ძალიანად და ტექნიკიანად. ვაგონების ნამსხვრევებქვეშ დაიღუპა მტრის 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ უხამსობისა და მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს კალინინის ოლქის ქალაქ რჟევში: „გერმანელმა ოკუპანტებმა წაბილწეს ღვთისმშობლის ეკლესია. მათ თვითნებურად შეაბეჭვრიეს ეკლესიის კარები, ნოაწყეს იქ ჯარისკაცთა ყაზარმა და დაიტაცეს მთელი საეკლესიო განძეულობა. გერმანელმა კაცისმკვლელებმა დახვრიტეს ღვთისმშობლის ეკლესიის მოვდელი ანდრია პოპოვი. უკანდახევის წინ ფაშისტმა კაცისმკვლელებმა დანაღმეს ეკლესია და იქ შერეკეს 200-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. ჰიტლერელები „გერმანელ სამხედრო ხელისუფალთადმი ურჩობისათვის“ ხვრეტდნენ ავადმყოფ ქალებსა და ნეფეებს, რომლებიც უარს ამბობდნენ ეკლესიამდე მისულიყვნენ ან რომელთაც ვერ შესძლეს იქ მისვლა. შერეკილნი მცხოვრებნი ეკლესიაში, გერმანელებმა ამოსჩეხეს კარები და უკვე აპირებდნენ შენობისათვის ცეცხლის წაკიდებას. საბედნიეროდ, ქალაქში შეჭრილმა წითელი არმიის ნაწილებმა ჰიტლერელ ბარბაროსებს ხელი შეუშალეს აეფეთქებინათ ეკლესია იქ მყოფ ადამიანებთან ერთად“. აქტს ხელს აწერენ: ღვთისმშობლის ეკლესიის მნათე დოლგოპოლოვი, დიაკონი ტიხომიროვი, ქალაქის მცხოვრებნი—სადოვნიკოვა, დენისოვა, მოროზოვა და სხვები.

23 მარტის საღამოს ცნობა

23 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 7.000 ტონა წყალწყვისა.

• • •

22 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაეზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 5 ტანკი, 100-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს სამარ მასალათა 9 საწყობი და ჩაახშეს მოწინააღმდეგის საველე და საზენიტო არტილერიის 10 ბატარეის ცეცხლი.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 6 შენაერთის ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ დნეპრის დასავლეთ ნაპირზე. პლაცდარმის გასაფართოებლად. გერმანელები, რომელთაც ამ ვიწრო უბანზე თავი მოუყარეს დიდძალ საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეას და ქვეითი ჯარის მნიშვნელოვან ძალებს, ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი მებრძოლების წინსვლა და არაერთხელ გადმოდიოდნენ კონტრიერიშებზე. მოწინააღმდეგემ კიდევ უფრო გააფთრებული კონტრიერიშები მოიტანა დუბოვშჩინის ჩრდილოეთით ქვეითი ჯარისა და ტანკების ძალებით. საბჭოთა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიშები და 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაქლიტეს.

• • •

ქიზდრის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ, ჩვენი თავდაცვის გარღვევის უნაყოფო ცდების შედეგად, სერიოზული ზარალი ნახა ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ. დღეს ჰიტლერელებმა შესწყვიტეს საბჭოთა პოზიციების იერიშები. ამ უბანზე ბრძოლების განმავლობაში 19 მარტიდან მოკიდებული, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 140 ტანკი. მოსპობილია 52 ქვემეხი. 102 ტყვიამფრქვევი და 37 ნაღმსატყორცნი. მოწინააღმდეგემ 7.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭარგა მარტო მოკლულთა სახით. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს დავლა და წამოიყვანეს ტყვეები.

• • •

ბელგოროდის რაიონში ჩვენი ჯარები თავდაცვიან ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებთან და ქვეით ჯართან. 5 შენაერთის ნაწილებმა, იგერიებდნენ რა იერიშებს გერმანელთა მოტორიზებული დივიზიისას, რომელსაც ტანკები ებმარებოდნენ, 400-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. ბელგოროდის აღმოსავლეთით ჰიტლერელებმა მდინარე სევერნი დონეცი გადმოლახეს და მნიშვნელოვანი „ზარალის ფასად დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტი. ჩვენი ქვეგანაყოფების კონტრიერიტაცმთ მოწინააღმდეგე განდევნილ იქნა ამ დასახლებული პუნქტიდან და უკუგდებულ იქნა მდინარის გადაღმა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი, 7 დაზიანებული ტანკი, 12 ავტომანქანა და ქვეითი ჯარის დიდძალი იარაღი.

• • •

ყუბანში ჩვენმა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს რაიონული ცენტრი სლავიანსკაია. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. სლავიანსკაიასთვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა. წამოღებულია დავლა, რომლის დათვლაც სწარმოებს.

• • •

ვინიცის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა რკინიგზის საგზურს. პარტიზანებმა გასწყვიტეს 47 ჰიტლერელი, მოსპეს ერთი ორთქლმავალი და 8 ვაგონი სამხედრო ტვირთიანად. ჩერნიგოვის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა ჯარის ეშელონი. მარცხის შედეგად მოკლული და დაჭრილია მოწინააღმდეგის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ჰიტლერმა თავის სიტყვაში, რომელიც 21 მარტს წარმოთქვა ბერლინში, გაკვრით მოიხსენია გერმანიის არმიის ზარალი, ციფრები. ნაცადი მატყუარა ჰიტლერი ამტკიცებს, რომ მეორე მსოფლიო ომის მთელი დროის განმავლობაში, გერმანიამ 542.000 კაცი დაჰკარგა მოკლულთა სახით. ჰიტლერი პირველად როდი ცრუობს ასე უხეშად. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ 1942 წლის 10 ნოემბერს მან განაცხადა, გერმანიის არმიის ზარალი მოკლულთა სახით 350.000 კაცს შეადგენსო. რასაკვირველია, ჰიტლერის ახლანდელი განცხადება ისევე დაშორებულია ჭეშმარიტებას, როგორც ცა დედა-მიწას. ახლა ახალი ყალთაბანდური ფანდის საშუალებით ჰიტლერი ცდილობს დაარწმუნოს გერმანელები, რომ 1942-1943 წლის მთელი ზამთრის კამპანიაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მხოლოდ 192.000 კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ამჯერად ჰიტლერმა სიცრუის ყოველგვარი რეკორდი გადალახა. ცნობილია, რომ გერმანელ ფაშისტთა არმიამ 1942 წლის 23 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე განვლილ პერიოდში მარტო სტალინგრადის რაიონში 330.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა, რომელთაგან 91.000 კაცი ტყვედ არის წამოყვანილი. ზამთრის შეტევის 3 თვის განმავლობაში წითელმა არმიამ მტრის 700.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო და 300.000-ზე მეტი ტყვე წამოიყვანა. სულ კი ომის 20 თვის განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჰკარგეს ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით სულ ცოტა 4.000.000 კაცი. როგორც უნდა ივარაუდოს სიცრუეში ჰიტლერმა, მილიონობით გერმანელი, რომელთაც სამარე ჰპოვეს საბჭოთა მიწა-წყალზე, სამუდამოდ გამოაკლდა გერმანიის არმიას, შემადგენლობას. მათი ბედი ეწევათ დანარჩენ გერმანელებსაც. რომლებიც ჰიტლერმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომრად გამორეკა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. ბენედიქტოვის ბრძანებით ნიშნით —„სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“ დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდეგი მუშაკები:

ჭოლოკავა პარმენ გიორგის-ძე—თბილისის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **ჭეჟია** თათუს ანდრიას-ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ჭითანავა** კიკი დავითის-ძე—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელის“ ბრიგადირი; **ჭკადუა** თედორე თვიროსძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ჩარგაზია** ქსენია სტეფანეს-ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ჯუბუა** ცუცუ იასონის-ასული—ზუგდიდის რაიონის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი; **ჩაჩავა** ამირან გრიგოლის-ძე—აბაშის რაიონის ბერიას სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ჩოთაშვილი** ივანე გიორგის-ძე — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნე; **ჩანგელია** მელიტონ ჩაგუს-ძე — წალენჯიხის რაიონის კვარაცხელიას სახ. კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე; **ჭანტურია** ივანე გერასიმეს-ძე —აბაშის რაიონის ბაქრაძის სახ. კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე; **ფეოდორავი** კონსტანტინე ტერენტის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის ბუდიონის სახ. კოლმეურნეობის პირუტყვის მომვლელი-მწყემსი; **შონია** შურა ჯოდის-ასული — გალის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“. ჩაის ფოთლის მკრეფავი; **შონია** ტურუ ახროვის-ძე — წალენჯიხის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **შონია** სონია ბაკუს-ასული — წალენჯიხის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **შორბნოვა** ანტონინა სიმონის-ასული — გუდაუთის რაიონის კალინინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე; **შარაშიძე** აიშე ხუსეინის-ასული — ბათუმის რაიონის მიქოიანის სახ. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავი; **ალადაშვილი** სიმონ პეტრეს-ძე — თელავის რაიონის თელავის მტს-ის მჭედელი; **ალი** მუსა-ოღლი—ბორჩალოს რაიონის ბორჩალოს მტს-ის ტრაქტორისტი; **აღდგომელაშვილი** ილია ზაქარიას-ძე — თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის მტს-ის ტრაქტორისტი; **ალანია** დავით გერასიმეს-ძე — ხობის რაიონის ხობის მტს-ის ტრაქტორისტი; **ბერუაშვილი** ალექსანდრე იოსების-ძე — ქარელის რაიონის, ქარელის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი; **ბაბიჩი** ლეონიდ კალისტრატეს-ძე — გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის კომბაინერი; **ბაბიჩი** ივდოკია გრიგოლის-ასული — გორის რაიონის ახალსოფლის რტს-ის კომბაინერის თანაშემწე; **ბაცია**შვილი შალვა ბაგრატის-ძე — თელავის რაიონის თელავის მტს-ის ტრაქტორისტი; **ბაირამოვი** ისა მუსა-ოღლი — ბორჩალოს რაიონის ბორჩალოს მტს-ის ტრაქტორისტი; **ბრეგვაძე** სიმონ ოქროპირის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის მტს-ის მემანქანე; **ბაციცკო** დიმიტრი თომას-ძე — ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის მტს-ის მჭედელი; **ბოკუჩავა** სამსონ პეტრეს-ძე — აბაშის რაიონის აბაშის მტს-ის ტრაქტორისტი; **ბოდოტინი** დოროთე აგაფონეს-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის ზეინკალი; **ბარამიძე** ლიუდმილა აქსენტის-ასული — წულუკიძის რაიონის წულუკიძის მტს-ის ტრაქტორისტი; **ვორობიოვი** მარკ ალექსანდრეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის მტს-ის მემანქანე; **ღამბარაშვილი** მატონ გრიგოლის-ძე — ხაშურის რაიონის ხაშურის მტს-ის ტრაქტორისტი; **გურცაშვილი** ალექსანდრე თომას-ძე — კასპის რაიონის კასპის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი; **ღვინაძე** ლევან გრიგოლის-ძე — კასპის რაიონის კასპის მტს-ის მჭედელი; **გულარიძე** ივანე ალექსანდრეს-ძე — ქარელის რაიონის აგარის მტს-ის კომბაინერი; **გასიტაშვილი** ისაკი გიორგის-ძე — გორის რაიონის გორის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი; **გოგიაშვილი** ზურაბ ალექსის-ძე — გორის რაიონის გორის მტს-ის კომბაინერი; **ფასანავი** გუშბატ გასანის-ძე — ბორჩალოს რაიონის ბორჩალოს მტს-ის ტრაქტორისტი.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტის“ № 65, 67, 68.

საქართველოს კოლმეურნეები ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას

სოფლის მეურნეობის განვითარების საბრძოლო პროგრამა

გორი („კომუნისტის“ **სახ. კორ.**). კოლმეურნეობებში გულდასმით ეცნობიან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება სოფ. ძეგვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. დვალმა. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე ოცეული გამოვიდა პირველი ბრიგადის ბრიგადირი ამხ. გოხელაშვილი, რომელმაც განაცხადა: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია უხვი მოსავლის მიღების კონკრეტული ღონისძიებანი. ეს დადგენილება აღგვაფრთოვანებს. საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. დიდი სამამული ომის დღეებში ზურგის მუშაკებს მოეთხოვებათ კიდევ უფრო მეტი დაძაბული შრომა იმისათვის, რომ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მიეცეთ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული მრეწველობისათვის. ამხ. გოხელაშვილმა იკისრა საგაზაფხულო თესვის დაწესებულ ვადაზე 10 დღით ადრე დამთავრება და ბრიგადაში შრომის საუკეთესოდ ორგანიზება.

მეორე ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ხუციშვილმა თქვა: ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა. პარტიისა და მთავრობის დადგენილების განუხრელად განხორციელებით უზრუნველყოფთ წელს უხვი საბრედო მოსავლის მიღებას. მან ვალდებულება იკისრა ჰექტარზე სამუალოდ მიიღონ 350 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ცენტნერისა, სერიოზული უურადღება მიაქციონ მინდვრისა და სატრანსპორტო სამუშაოებზე ნაკლებპროდუქტიული ძროხების გამოყენებას.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების საპასუხოდ კოლმეურნეობამ იკისრა წელს დამატებით გაიტანოს მინდვრად 100 ტონა ნაკელი, მაქსიმალურად გამოიყენოს მინერალური სასუქების ნაშთები, დამატებით აითვისოს 2 ჰექტარი ყამირი მიწა. კოლმეურნეობაში გაზაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. ქერი დათესილია 13 ჰექტარზე, ხეხილის ბაღი დამბარულია 4 ჰექტარზე, საგაზაფხულოდ მოხნულია 45 ჰექტარი, ხვნაზე მუშაობს 8 გუთნეული. კოლმეურნეობაში დიდი საწარმოო აღმავლობაა. პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ი. გოხელაშვილი), მეხუთე ბრიგადა (ბრიგადირი რ. კეცხუაშვილი) გადამეტებით ასრულებენ სამუშაო გეგმებს. გუთნის-დედები დ. კობაძე, ი. ლეკრაშვილი ხვნის ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ.

შ. ჩუბინიძე

უხვი სამხედრო მოსავლისათვის

ჭიათურა („კომუნისტის“ **საკ. კორ.**). რაიონის კოლმეურნეები მხურვალედ მიესალმენიან და იწონებენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას, კოლმეურნეები უპასუხებენ კონკრეტული საქმეებით. საგაზაფხულო ხვნა-თესვა დამკვრელური ტემპებით არის გაჩაღებული. საგაზაფხულო სამუშაოებში მოწინავეთა რიგებში არიან კაცხის, ცირკალის, ზოდის სასოფლო საბჭოებში შემავალი კოლმეურნეობები სოფ. კაცხის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 60 ჰექტარზე, სოფ. ზედუბნის კოლმეურნეობაში— 18 ჰექტარზე, სოფ. ხალიფაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში 20 ჰექტარზე მეტი.

ქობულეთელთა მიმართვის საფუძველზე ჭიათურელი კოლმეურნეები ფართოდ ეჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას და რაზმავენ ყველა ძალებს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

დაიწყო სიმინდის თესვა

მაიაკოვსკი (ტელეგრაფით). რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები 20 მარტიდან შეუდგნენ სიმინდის თესვას. თესვა მახორბრივად დაიწყეს სოფ. მაიაკოვსკის, ფერსათის, როკითის და წითელი ხევის სასოფლო საბჭოებში. შემავალმა კოლმეურნეობებმა, 22 მარტისათვის მაიაკოვსკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას სიმინდი დათესილი ჰქონდა 32 ჰექტარზე, ფდანვის სახელობის კოლმეურნეობას—29 ჰექტარზე.

სიმინდის თესვა წარმატებით მიმდინარეობს.

ს. ჩხეტია

რაიონულ გაზეთ „კოლექტიური შეტევის“ რედაქტორი.

საგზაჟეზორო ბრიგადა წარმატებით მუშაობს

ზესტაფონი („კომუნისტის“ **საკ. კორ.**). რაიონში ფართოდ გაჩაღდა საგაზაფხულო ხვნა. დამკვრელური ტემპებით აწარმოებს ხვნას ზესტაფონის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი გიორგი გამყრელიძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ უკვე 75 ჰექტარი მოხნა. ტრაქტორისტი ვიმტორ წოვწივაძე დღეში 10 ჰექტარს ხნავს, ხვნის ნორმას გადაჭარბებით ასრულებს და საშუალოდ დღეში იძლევა 50 კილოგრამ საწვავი მასალის ეკონომიას. წარმატებით მუშაობენ ხვნაზე ტრაქტორისტები გორგაძე, სვანიძე, გიორგაძე.

დეპეშები

ჩერჩილის გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 21 მარტი (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, დღეს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა.

ჩერჩილმა სთქვა, რომ მას არ შეუძლია გაიზიაროს იმ ადამიანთა ოპტიმიზმი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ომი მალე დამთავრდება. „დღეს მე არ ვეუბნები ომის მსვლელობას და ვლაპარაკობ ზოგიერთ ომისშემდგომსა და საშინაო პრობლემებზე მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი მაქვს, შემძლია გავამართივო და შევანელო პოლიტიკური წინააღმდეგობანი“,—სთქვა ჩერჩილმა. — „უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა მოვერიდოთ ცდებს — დავარწმუნოთ ან ვაიძულოთ კიდეც მთავრობა შეიბოჭოს თავი ან თავისი ეცნობი ნემკვიდრენი, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ ვითარებაში, რომელიც არავის არ შეუძლია გაითვალისწინოს. და ჩვენ, შესაძლოა, სახელმწიფოს წინდაწინ მრავალი წლით მოახვევს თავს იმ მომენტის გარეშოებებით გაუმართლებელ ახალ უდიდეს ხარჯებს.

მე გადავწყვიტე არ მოგცეთ რაიმე დაპირებანი და არ მოგიყვეთ რაიმე ზღაპრებს თქვენ, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეთ და რომლებიც მომყვებოდით დღემდე ჩრდილთა ხეობაში, სანამ ჩვენ არ მივაღწიეთ ამ მწვერვალებს, სადაც ახლა მტკიცედ ვდგიეართ. მაგრამ ჩვენი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ვეცადოთ მომზადებულნი ვიყოთ იმ მდგომარეობისათვის, რომელიც შეიძლება შეიქმნას. ვლაპარაკობ რა მთელი სიფრთხილით და არ ვცდილობ რა ვიწინასწარმეტყველო, მე შეიძლება წარმოვიდგინო, რომ როდისმე მომავალ წელს და, შესაძლოა, ერთი წლით უფრო გვიანაც, ჩვენ შევძლებთ გავაკამეტეროთ ჰიტლერი და ბოროტების ის ძალები, რომლებსაც ის მეთაურობს. ბაშინ ჩვენ დაუყოვნებლივ მოვკიდებთ ხელს მსოფლიოს მეორე კიდეს, რათა დავსაჯოთ ხარბი და სასტიკი იაპონიის იმპერია, გადავარჩინოთ ჩინეთი მის ხანგრძლივ ტანჯვას, გავათავისუფლოთ ჩვენი საკუთარი ტერიტორია და ჩვენი მოკავშირეების — ჰოლანდიელების ტერიტორია და სამუდამოდ ჩამოვაშოროთ იაპონიის საფრთხე ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ინდოეთის ნაპირებს. ეს იქნება ჩვენი პირველი და მთავარი ამოცანა, და ჩვენ ვერაფერმა ვერ უნდა ჩამოგვაშოროს მას.

მიუხედავად ამისა, მე მგონია, რომ ის მოვლენა, როცა ჰიტლერი დამარცხდება და გერმანია და იტალია დაემხობიან, მომსწავებელი იქნება ომის უმაღლესი წერტილისა; და მაშინ დადგება დრო ახალი დეკლარაციისათვის იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი მაშინ დავამთავრებთ დიდ საქმეს. თუ მე მიწერია მანამდე ვიცოცხლო და საკუთარ დავრჩე, ბაშინ მე კაბინეტის თანხმობით ახალ ამოცანას წამოვაყენებ ინგლისელი ერის წინაშე. იაპონის წინააღმდეგ ომი ჩვენი შეიარაღებული ძალებისაგან ისეთი ამოცანების შესრულებას მოითხოვს, რომლებიც სავსებით განსხვავებული იქნებიან ახლა მდგომი ამოცანებისაგან. რაც უნდა დაძაბული იყოს ომი იაპონიის წინააღმდეგ, ჰიტლერის დამარცხების შემდეგ, უეჭველია, ჩატარდება ნაწილობრივი დემობილიზაცია, და ეს ჩვენს წინაშე განსაკუთრებით ძნელ და რთულ პრობლემებს დააყენებს. იმედი ვიქონიოთ, რომ გაერთიანებული ერები, ერების ბრიტანული თანამეგობრობის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა რუსეთის მეთაურობით, დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებას მსოფლიოს მომავალი ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც უნდა გადაგვაჩინოს ახალი ომებისაგან დამნაშავე ხალხმწყობთა ეფექტური განიარაღების გზით და მათი შეიარაღების დაუშვებლობის გზით, მთავარ დამნაშავეთა და მათ თანამონაწილეთა სამართალში მიცემის გზით და აიხრეხილი და დამონებული ქვეყნებისათვის ამ ტექნიკური რესურსებისა და მხატვრულ განვეულობათა დაბრუნების უზრუნველყოფის გზით, რომლებიც მათ გაძარცვის შედეგად დაჰკარგეს.

ჩვენს წინაშე იქნება აგრეთვე მძიმე ამოცანა—შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ შიმშილის გავრცელება აოხრებულ რაიონებში. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, რომელშიც შევლენ ან წარმოდგენილი იქნებიან გაერთიანებული ერები, ხოლო როდისმე ყველა ერებიც, შეიქმნება ევროპისა და აზიის საბჭოები. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ომი იაპონიის წინააღმდეგ კიდევ გაგრძელდება, პირველი პრაქტიკული ამოცანა იქნება ევროპის საბჭოს შექმნა და ევროპის პრობლემების გადაჭრა. ჩვენ უნდა ვცადოთ,—რასაკვირველია, მე მარტო ჩვენი სახელით ვლაპარაკობ,—გადავაქციოთ ევროპის საბჭო ნამდვილ ეფექტურ ლიგად, რომლის სისტემაშიც შევა მაქსიმალური ძალები და რომელსაც ექნება უმაღლესი სასამართლო სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე ნაციონალური ან საერთაშორისო ძალები, ან ერთიც და მეორეც. რომელთაც შეეძლებათ შეასრულებინონ ყველას ამ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და თავიდან აგვაცილონ აგრესიის განახლება და მომავალი ომებისათვის მზადება. სრულიად ცხადია, რომ ამ საბჭომ, როცა იგი შეიქმნება, პერსპექტივაში უნდა მოიცვას მთელი ევროპა, და დადგება მომენტი, როცა ხალხთა ევროპული ოჯახის ყველა ძირითადი ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს მასში.

რა ბედი უნდა ეწიოს მრავალ მცირე ქვეყანას, რომელთა უფლებები და ინტერესები დაცული უნდა იყოს. დიდი სახელმწიფოების გვერდით უნდა არსებობდნენ საჩელმწიფოთა მთელი რიგი გაერთიანებანი ან კონფედერაციები, რომლებიც მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით გამოხატავენ თავიანთ თვალსაზრისს. ყოველივე ეს, როგორც მე ვფიქრობ, შეთანხმებული უნდა იყოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ძირითად ინტერესებთან. სავსებით ცხადია, რომ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების შესრულება შეუძლებელი იქნება ამ უკანასკნელთა სრული თანხმობისა და მონაწილეობის გარეშე. სსსულელეზე უარესი იქნებოდა, რომ წვრილმანებს გამოვკიდებოდით ან განგვეხილა საზღვრების საკითხი ახლა, როცა ომს დასავლეთშიც კი ჯერ არ მიუღწევია თავისი უმაღლესი წერტილისათვის, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში ომი ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყის ფაზაშია. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დაინტერესებული დიდი ერები არა ცდილობენ განიხილონ ბევრი საკითხი“.

შემდეგ ჩერჩილი შეეხო მთელ რიგ საშინაო საკითხებს. დასასრულ, ჩერჩილმა განაცხადა:

„ეს არის ახლა მივიღე გენერალ მონტგომერისაგან დეპეშა იმის შესახებ, რომ მე-8 არმია წინ მიიწევს, და რომ იგი კმაყოფილია მისი წინსვლით“.

ფუნისში ინგლისისა და ამერიკის ჯარები წინ მიიწევენ

ლონდონი, 22 მარტი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ 20 მარტს ღამით ინგლისის მე-8 არმიის ჯარებმა იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები. ოპერაციები დამაკმაყოფილებლად ვითარდება.

21 მარტს ამერიკის ჯარები წინწაწევას გაგრძობდნენ მაკნასის და ჰაფსის საშუალოდ აღმოსავლეთის მიმართულებით და ხელთ იგდეს 1.000-ზე მეტი ტყვე. ბრძოლები გრძელდება.

ლონდონი, 23 მარტი (საკადესი). რეიტერის საგენტოს ცნობით, მე-8 არმიამ მტრის პოზიციები გაარღვია, წინ მიიწევს ზღვისაკენ ჰაბესის მიმართულებით და, ამრიგად, გერმანელ-იტალიელთა ძალების ზურგს